

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსი ხშირად დასმული კითხვები

საკითხები:

GMUS-ში რეგისტრაცია
გრანტის მიმღები დამხმარე
პერსონალი უცხოელი
კონსულტანტი ბიუჯეტი
გეგმა-გრაფიკი

GMUS-ში რეგისტრაცია

1. რეგისტრირდება თუ არა GMUS-ში, ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს? თანადამფინანსებელი პირი?
პასუხი: პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე თანადამფინანსებელი იურიდიული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრირდება GMUS-ში, ქმნის „ორგანიზაციის პროფილს“ და ტვირთავს კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ4-ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტებს.
GMUS-ში არ რეგისტრირდება თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი და ის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს.

2. GMUS-ში მეცნიერის პროფილის შევსებისას სტატიების სათაურები უნდა ვთარგმნოთ?
პასუხი: მეცნიერის პროფილის შევსებისას სტატიების სათაურების მითითება ხდება იმ ენაზე, რა ენაზეცაა გამოქვეყნებული სტატია. რაც შეეხება მეცნიერის პროფილის ინგლისური ველების შევსებას, უმჯობესია, ქართულად გამოქვეყნებული სტატიების სათაურები თარგმნოთ ინგლისურად და ფრჩხილებში მიუთითოთ (in Georgian).

3. GMUS-ში მეცნიერის პროფილის შევსებისას დოქტორანტურის სტუდენტმა აკადემიური ხარისხის ველში რა უნდა მიუთითოს, მაგისტრი?
პასუხი: დოქტორანტმა უნდა მიუთითოს „დოქტორანტი“. ხოლო განათლების ველში უნდა ატვირთოს სტუდენტის ცნობა.

გრანტის მიმღები

4. შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი და იგივე პირი იყოს ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში მონაწილე ორი პროექტის ხელმძღვანელი? ძირითადი პერსონალი?
პასუხი: პროექტის ხელმძღვანელის სტატუსით ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია ჩართული იყოს მხოლოდ ერთ პროექტში. იგულისხმება, როგორც ფუნდამენტური კვლევების 2018 წლის საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი, ასევე, ის მიმდინარე პროექტი, რომელიც დაფინანსდა ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების ფარგლებში:

- ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების,
- გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების და
- უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსები.

ძირითადი პერსონალის სტატუსით ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია ჩართული იყოს ჯამში მხოლოდ ორ პროექტში. იგულისხმება, როგორც ფუნდამენტური კვლევების 2018 წლის საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი, წარმოდგენილი, ასევე ის მიმდინარე პროექტები, რომლებიც დაფინანსდებიან ფონდის მიერ ადმინისტრირებული ზემოთ ჩამოთვლილი სამი კონკურსის ფარგლებში.

პროექტი ჩაითვლება მიმდინარედ, თუ მასზე არ არის გაფორმებული შედარების აქტი, დამოწმებული ორმხრივი ხელმოწერით და არ არის დახურული 2018 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით.

5. შეიძლება თუ არა, რომ კერძო უნივერსიტეტის დოქტორანტი ან მაგისტრანტი იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

6. შეიძლება კონკურსში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩაერთოს სტატუსშეჩერებული დოქტორანტი?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

7. შეიძლება თუ არა, რომ ძირითადი პერსონალი არ წარმოადგენდეს არც წამყვანი წამყვან და არც თანამონაწილე ორგანიზაციას?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. ძირითადი პერსონალის წევრებს არ მოეთხოვებათ, აფილირებულნი იყვნენ წამყვან ან/და თანამონაწილე ორგანიზაციასთან.

8. შესაძლებელია თუ არა, რომ ძირითადი პერსონალის უცხოელმა წევრმა ელექტრონულად მოაწეროს ხელი კანცელარიაში მოსატან განცხადებას?

პასუხი: არ შეიძლება. ფონდში წარმოდგენილი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ დამოწმებული უნდა იყოს ძირითადი პერსონალის ყველა წევრის (როგორც საქართველოს ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების) ცოცხალი ხელმოწერით. ასევე წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილი პირების ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით.

განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე.

9. შესაძლებელია თუ არა, რომ ძირითადი პერსონალის რომელიმე წევრმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებაზე ხელმოწერის უფლება მინდობილობით გადასცეს სხვა პირს და მან მოაწეროს ხელი განცხადებას?

პასუხი: შესაძლებელია. ამ შემთხვევაში კანცელარიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ შესაბამისი მინდობილობაც.

10. კვლევაში უნდა მონაწილეობდეს თუ არა კოორდინატორი?

პასუხი: დიახ, კოორდინატორი, ისევე როგორც ძირითადი პერსონალის ყველა წევრი, არის მკვლევარი და უნდა მონაწილეობდეს კვლევაში.

11. ხელმძღვანელისთვის როდის იქნება ხელმისაწვდომი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ?

პასუხი: მას შემდეგ რაც პროექტს ფონდში გადმოგზავნით ანუ დააწვებით submit ლილასს, გექნებათ შესაძლებლობა ჩამოტვირთოთ განცხადება.

12. როგორ ხდება ექსპერტის აცილება?

პასუხი: პროექტის რეგისტრაციისას ზოგადი ინფორმაციის ველში თქვენ უნდა შეიყვანოთ ინფორმაცია არასასურველი ექსპერტის შესახებ, კერძოდ სახელი და გვარი ან შესაბამისი კონკურსის დასახელება, წელი და ექსპერტის შიფრი.

დამხმარე პერსონალი

13. შეიძლება თუ არა, რომ თარჯიმანი იყოს დამხმარე პერსონალი?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

უცხოელი კონსულტანტი

14. შეიძლება თუ არა, რომ კონსულტანტი იყოს ქართველი?

პასუხი: არ შეიძლება. კონკურსის პირობების მიხედვით, კონსულტანტის სტატუსით პროექტში შეიძლება ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემატიკაზე და კონსულტაციას გაუწევენ ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ფარგლებში.

15. რამდენი უცხოელი კონსულტანტის ჩართვა შეიძლება პროექტში?

პასუხი: პროექტში შეგიძლიათ ჩართოთ მინიმუმ ერთი უცხოელი კონსულტანტი. პროექტში ჩართული კონსულტანტების რაოდენობას კონკურსის პირობები არ ზღუდავს.

16. კონსულტანტი CV-ის GMUS აგენერირებს?

პასუხი: არა. კონკურსის პირობების მიხედვით, უცხოელ კონსულტანტს არ მოეთხოვება GMUS-ში რეგისტრაცია. უცხოელი კონსულტანტის ინგლისური CV შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნებისმიერ ფორმატში. პროექტის ხელმძღვანელი პასუხიმგებელია კონსულტანტის CV-ს ქართულად თარგმნასა და პროექტის რეგისტრაციისას GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით კონსულტანტის ინგლისური და ქართული CV-ების წარმოდგენაზე.

ბიუჯეტი

17. რამდენს შეადგენს ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება, თუ პროექტში ჩართული არიან მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერები?

პასუხი: პროექტში მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვის შემთხვევაში ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 15 000 ლარს.

18. იბეგრება თუ არა ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება?

პასუხი: არა, ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ იბეგრება.

19. მივლინების ხარჯები შეზღუდულია?

პასუხი: მივლინების ხარჯებისთვის ცალკე ლიმიტი არ არის დაწესებული. აღნიშნული ხარჯების გაანგარიშებისას უნდა იხელმძღვანელოთ ბიუჯეტის კლასიფიკატორით და ფინანსთა მინისტრის #220 ბრძანებით.

20. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გაწეული მგზავრობის (ბილეთების) ხარჯი ბიუჯეტის რომელ მუხლში უნდა აისახოს?

პასუხი: ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის ღირებულება გათვალისწინებულ უნდა იქნეს მუხლში „მივლინება“.

21. მივლინების ხარჯები იბეგრება?

პასუხი: მივლინების ხარჯები არ იბეგრება. აღნიშნული მუხლის ფარგლებში მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული დეტალები გაარკვეთ გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციაში.

22. სტატიის გამოქვეყნების ხარჯი სად უნდა იყოს გათვალისწინებული ბიუჯეტში?

პასუხი: სტატიის გამოქვეყნების ხარჯი უნდა ასახოთ საქონელი და მომსახურების მუხლის „ოფისის ხარჯები“ კატეგორიაში.

23. თუ სტატიის გამოქვეყნება 500 ლარზე მეტი ჯდება, სად უნდა აისახოს აღნიშნული ხარჯი ბიუჯეტში?

პასუხი: საქონელი და მომსახურების მუხლის „ოფისის ხარჯების“ კატეგორიაში. 500-ლარიანი შეზღუდვა ეხება მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკას, ინვენტარსა და მოწყობილობას, მომსახურებაზე თანხის შეზღუდვა არ მოქმედებს.

24. შეძენილი საქონელის აეროპორტიდან ტრანსპორტირების ხარჯი ბიუჯეტის რომელ მუხლში უნდა გაიწეროს?

პასუხი: ნივთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯი შედის ამ ნივთის თვითღირებულებაში.

25. უცხოელი კონსულტანტის ჰონორარი რომელ მუხლში უნდა გაიწეროს?

პასუხი: უცხოელი კონსულტანტის ჰონორარი გათვალისწინებულ უნდა იყოს საქონელი და მომსახურების მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ქვემუხლში.

26. იბეგრება თუ არა უცხოელი კონსულტანტის ჰონორარი?

პასუხი: დიახ, უცხოელი კონსულტანტის ჰონორარი ექვემდებარება დაბეგვრას.

27. ბიუჯეტის რომელ კატეგორიაში შეიძლება პრეპარატის რეგისტრაციის ხარჯის გათვალისწინება?

პასუხი: პრეპარატის რეგისტრაციის ხარჯი უნდა გაიწეროს საქონელი და მომსახურების მუხლში, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ქვემუხლში, თუ არ ხდება აღნიშნული ხარჯების კაპიტალიზება, ხოლო თუ ხდება ხარჯების კაპიტალიზება, მაშინ არაფინანსური აქტივების მუხლში.

28. ბიუჯეტის რომელ კატეგორიაში შეიძლება რეაქტივების ხარჯის გათვალისწინება?

პასუხი: რეაქტივების ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ქვემუხლში.

29. შეიძლება თუ არა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს აუთვისებელი რესურსის გადატანა მომდევნო საანგარიშო პერიოდში?

პასუხი: ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში იმავე მუხლში, სადაც დარჩა ნაშთი (იხილეთ მთავრობის დადგენილების მე-12 მუხლის, მე-4 ქვემუხლის „დ“ ქვე-ქვემუხლი).

30. „საქონელი და მომსახურების“ ნაწილში არსებობს შეზღუდვა 500 ლარის ფარგლებში. როგორ მოვიქცეთ, როდესაც როგორც ზოგიერთი რეაქტივის ფასი ასევე სხვა საჭირო მომსახურების (მაგ. დნმის 10 ნიმუშის ანალიზი 20.000 ლარამდე) ფასი აჭარბებს ამ სიდიდეს?

პასუხი: ნებისმიერი მომსახურების ხარჯი გადის საქონელი და მომსახურების მუხლში. 500ლარიანი შეზღუდვა ეხება მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკას, ინვენტარსა და მოწყობილობას. თუ შესყიდული საქონელი არ არის მრავალჯერადი გამოყენების (მაგალითად რეაქტივები) მათი ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში ღირებულების მიუხედავად (დეტალები იხილეთ საბიუჯეტო კლასიფიკატორში).

31. შეიძლება თუ არა ძირითადი პერსონალის ხელფასი შეიცვალოს: მაგალითად, პირველ საანგარიშო პერიოდში იყოს 6000, მეორეში 5400, მესამეში 6000?

პასუხი: ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება შეიძლება განსხვავებული იყოს საანგარიშო პერიოდებში, მთავარია არ დაარღვიოთ ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისთვის განსაზღვრული წლიური ლიმიტები.

32. ზედნადები ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 7%-ს, აღნიშნული ჩანაწერი ეხება ერთწლიან საანგარიშო პერიოდს?

პასუხი: 7%-იანი შეზღუდვა არ არის დაწესებული ცალკეულ საანგარიშო პერიოდზე, აქ იგულისხმება პროექტის მთლიანი ხანგრძლივობის მანძილზე ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების ჯამური ოდენობის 7%.

33. თუ პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალიდან ყველა არის ახალგაზრდა მეცნიერი, რამდენი შეიძლება იყოს ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება?

პასუხი: ჯამში 15000 ლარი წელიწადში.

34. შეიძლება თუ არა ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისთვის მოთხოვნილ იქნეს კონკურსის პირობებით დადგენილ ლიმიტზე ნაკლები?

პასუხი: დიახ, შეიძლება. კონკურსის პირობებით დადგენილია ზედა ზღვარი, ანუ ლიმიტი რომელსაც არ უნდა გადააჭარბოს კონკრეტულ მუხლში მოთხოვნილმა თანხამ. იმ შემთხვევაში თუ არ იქნება მოთხოვნილი მაქსიმალური შესაძლო თანხა, მაშინ შეიძლება ეს „დანაზოგი“ გამოყენებულ იქნეს სხვა მუხლებში, იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც არის დამხმარე პერსონალის და ზედნადები ხარჯების მუხლის ზედა ზღვართან დაკავშირებით.

35. იბეგრება თუ არა დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება?

პასუხი: დიახ, იბეგრება.

36. თანაბრად უნდა იყოს თუ არა განაწილებული დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება თითოეულ პერსონალზე?

პასუხი: არ არის სავალდებულო. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს წელიწადში. რამდენიმე დამხმარე პერსონალის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა უნდა გადაანაწილოთ მათზე საჭიროებისამებრ.

37. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება - 5 000 ლარი წელიწადში ერთი ადამიანისათვის არის განსაზღვრული თუ რამდენიმე ადამიანისათვის?

პასუხი: დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს წელიწადში. რაც გულისხმობს, რომ თუ გყავთ რამდენიმე დამხმარე პერსონალი, აღნიშნული თანხა უნდა გადაანაწილოთ მათზე.

38. უცხოელი კონსულტანტისთვის რა სახის ხარჯები შეიძლება ანაზღაურდეს და რომელი მუხლიდან?

პასუხი: იხილეთ ბიუჯეტის კლასიფიკატორის „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლი და „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი.

39. უცხოელი კონსულტანტის ვიზიტი საქართველოში (ავიაბილეთი, დღიური, სასტუმროს ხარჯი) რომელი მუხლიდან შემიძლია დავაფინანსო?

პასუხი: უცხოელი კონსულტანტისათვის შეგიძლიათ გასწიოთ წარმომადგენლობითი ხარჯები (იხ. ბიუჯეტის კლასიფიკატორი, მუხლი 4.2). ამაში არ შედის დღიური ხარჯი.

40. უცხოელი კონსულტანტის ჰონორარი შეიძლება თუ არა, აღმატებოდეს ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებას?
პასუხი: შეიძლება.
41. არის თუ არა დაწესებული უცხოელი კონსულტანტის ჰონორარის ზედა ზღვარი?
პასუხი: უცხოელი კონსულტანტის ჰონორარისთვის ზედა ზღვარი დაწესებული არ არის.
42. სავალდებულოა თუ არა, რომ უცხოელი კონსულტანტის ჰონორარი განაწილებული იყოს თანაბრად პერიოდების მიხედვით?
პასუხი: არ არის სავალდებულო. ჰონორარი შეიძლება გაიწეროს ბიუჯეტის რომელიმე ერთ საანგარიშო პერიოდში მთლიანად, ან გადანაწილდეს ყველა პერიოდზე საჭიროებისამებრ.
43. შეიძლება თუ არა უცხოელი კონსულტანტი ჩაერთოს პროექტში ანაზღაურების გარეშე?
პასუხი: დიახ.
44. საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის რომელი მუხლიდან შეიძლება ანაზღაურდეს თარგმნის ხარჯები?
პასუხი: თარგმნის ხარჯები შეიძლება ანაზღაურდეს „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან.
45. საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის რომელი მუხლიდან შეიძლება ბექდვის ხარჯის გაწევა?
პასუხი: საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯი შეიძლება ანაზღაურდეს „ოფისის ხარჯების“ მუხლიდან.
46. საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის რომელი მუხლიდან შეიძლება ანაზღაურდეს „კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები“?
პასუხი: კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული გადასახადები ანაზღაურდება „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, ხოლო აღნიშნული მიზნებისთვის მივლინების ხარჯები „მივლინების“ მუხლიდან.
47. ბიუჯეტის რომელ მუხლში უნდა იქნეს გათვალისწინებული წიგნების შეძენის ხარჯი?
პასუხი: იმ შემთხვევაში, თუ თითოეული წიგნის ღირებულება ნაკლებია 500 ლარზე, მაშინ აღნიშნული ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში, „ოფისის ხარჯების“ ქვემუხლში; თუ თითოეული წიგნის ღირებულება შეადგენს 500 ლარს და მეტს, მაშინ წიგნის შესყიდვის ღირებულება ანაზღაურდება არაფინანსური აქტივების მუხლიდან. იმ შემთხვევაში თუ შეძენილი წიგნის ღირებულება ემატება გრანტის მიმღები ორგანიზაციის საბიბლიოთეკო ფონდს, მაშინ აღნიშნული წიგნის ღირებულების მიუხედავად ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლში.
48. როგორ უნდა აისახოს ბიუჯეტში კერძო მანქანის დაქირავება?
პასუხი: თუ კერძო მანქანის დაქირავება განსაზღვრულია ექსპედიციის/საველე სამუშაოების მიზნებისთვის, მაშინ შესაბამისი ხარჯი უნდა გაითვალისწინოთ საქონელი და მომსახურების მუხლში (იხ. საბიუჯეტო კლასიფიკატორი. მუხლი 4.6 ექსპედიციის და საველე სამუშაოების ხარჯები);
49. ანაზღაურდება თუ არა ექსპედიციის ფარგლებში მძღოლის ღამისთევის ხარჯი?
პასუხი: არა. ექსპედიციის ფარგლებში მძღოლს შეიძლება აუნაზღაურდეს ტრანსპორტის დაქირავებისა და საწვავის შესყიდვის ხარჯები.

50. გრანტის ბიუჯეტში შეიძლება თუ არა სახელშეკრულებო სამუშაოების გათვალისწინება და რომელ პუნქტში?

პასუხი: „სახელშეკრულებო სამუშაოების“ საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტში უნდა დაიწეროს კონკრეტული მომსახურება, რისი შესყიდვაც გასურთ.

51. როგორ უნდა აისახოს ბიუჯეტში საცდელი დანადგარების დამზადება?

პასუხი: იმ შემთხვევაში, თუ დანადგარის ღირებულება 500 ლარი და მეტი იქნება, ასევე ამ დანადგარის გამოყენება დაგეგმილია 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მრავალჯერადად, დანადგარის დამზადების ხარჯები გათვალისწინებული უნდა იყოს არაფინანსური აქტივების მუხლში, ხოლო თუ ნაკლებია 500 ლარზე, მაშინ საქონელი და მომსახურების მუხლში.

52. შეიძლება თუ არა, ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს ხარჯი საქონელი და მომსახურების კატეგორიიდან, რომელიც აღემატება 500 ლარს?

პასუხი: საქონელი, რომლის ღირებულებაც აღემატება 500 ლარს, მაგრამ არ არის განკუთვნილი მრავალჯერადი გამოყენებისთვის, გათვალისწინებული უნდა იყოს საქონელი და მომსახურების მუხლში. ასევე ყველა ტიპის მომსახურება, მისი ღირებულების მიუხედავად, გადის საქონელი და მომსახურების მუხლში.

53. შეიძლება თუ არა კვლევისთვის საჭირო ქიმიური ანალიზი ჩაატაროს გრანტის მიმღები ორგანიზაციის ლაბორატორიამ?

პასუხი: წამყვანი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გრანტის მიმღებნი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ორგანიზაციას არ შეუძლია საკუთარ თავთან ხელშეკრულების დადება. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია შესყიდულ იქნეს ლაბორატორიაში ანალიზების გასაკეთებლად საჭირო მასალები.

54. თუ პროექტი საჭიროებს პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორ უნდა აისახოს ბიუჯეტში?

პასუხი: გააჩნია ღირებულებას და მისი გამოყენების ხანგრძლივობას. კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯი, როგორცაც მცირეფასიანი და ხშირ შემთხვევაში ერთწლიანი გამოყენების კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯები მიეკუთვნება ოფისის ხარჯებს (4.1 მუხლი), ხოლო თუ პროგრამების გამოყენება ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით არის მოსალოდნელი, მაშინ იგი მიეკუთვნება სხვა არამატერიალურ ძირითად აქტივებს და არაფინანსური აქტივების მუხლის ფარგლებში უნდა გაითვალისწინოთ.

55. როგორ უნდა აისახოს ბიუჯეტში ექსპედიცია საქართველოში, როგორც მივლინება?

პასუხი: შესაბამისი ხარჯები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ან ქვეყნის შიგნით მივლინების ფარგლებში, ან ექსპედიციის და სავაჭრო სამუშაოების ხარჯებში (დეტალები იხილეთ საბიუჯეტო კლასიფიკატორსა და 220-ე ბრძანებაში). ქვეყნის შიგნით მივლინების მუხლიდან ანაზღაურდება მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის, დღიური ნორმის ხარჯები, ხოლო ექსპედიციის ფარგლებში დღიური ხარჯები არ ანაზღაურდება და ნებისმიერ გაწეულ ხარჯზე წარმოსადგენი იქნება საქონელის შესყიდვის და მომსახურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

56. არის თუ არა შესაძლებელი საგრანტო პროექტის ბიუჯეტიდან ლეპტოპის შეძენა, და რა შეზღუდვები არის დაწესებული შესაძენი ლეპტოპის ღირებულებასთან დაკავშირებით?

პასუხი: ლეპტოპის შეძენა შესაძლებელია. შესაძენი ლეპტოპის ღირებულებაზე შეზღუდვა არ არის დაწესებული. იხელმძღვანელოთ ბიუჯეტის კლასიფიკატორით.

57. რომელი კატეგორიიდან უნდა ანაზღაურდეს პატენტის ხარჯები?

პასუხი: თავდაპირველ ეტაპზე პატენტის მოძიებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაითვალისწინოთ საქონელი და მომსახურების მუხლიდან, ხოლო ბოლო ეტაპზე მიღებულ პატენტთან დაკავშირებული ხარჯები არაფინანსურ აქტივებში.

58. ზედნადები ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 7% თითოეულ ტრანშისათვის, თუ ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების მთლიანი ბიუჯეტისათვის?

პასუხი: ზედნადები ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 7%. თითოეულ ტრანშზე ასეთი შეზღუდვა არ დევს კონკურსის პირობებში.

59. ძირითად აქტივებში ძვირადღირებული დანადგარის ფასი თუ შეიძლება გადანაწილდეს 2 პერიოდზე?

პასუხი: დიახ. შეგიძლიათ აღნიშნული თანხა გადანაწილოთ სხვადასხვა პერიოდებში და თანხის სრულად ჩარიცხვის შემდეგ განხორციელოთ შესყიდვა, ან ისარგებლოთ გადახარჯვის ცნებით. მთავარია ტრანშებში თანხის გადანაწილებისას არ დაარღვიოთ პროექტის ბიუჯეტში ფონდიდან მოთხოვნილი თანხისთვის განსაზღვრული პირობები (ე.წ. ზედა ზღვარი).

გეგმა-გრაფიკი

60. სად ივსება პროექტის გეგმა-გრაფიკი?

პასუხი: პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, ისევე როგორც ბიუჯეტი ივსება GMUS-ში.

61. რას გულისხმობს გეგმა-გრაფიკის დასაბუთება?

პასუხი: გეგმა-გრაფიკის დასაბუთება გულისხმობს პროექტის შესრულების გეგმის (ამოცანებისა და აქტივობების ეტაპების, ვადებისა და გზების) განხორციელებადობასა და შესაბამისობას კვლევის მიზნებთან.

პარტნიორი ორგანიზაცია

62. რა უნდა წარმოადგინოს პარტნიორმა ორგანიზაციამ?

პასუხი: პარტნიორმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს პარტნიორობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ეს შეიძლება იყოს მემორანდუმი, ხელშეკრულება და სხვა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

63. თუ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შევიძენ ანუ მის გამოყენებაში გადავიხდი თანხას მაინც დამჭირდება დანართი 9-ს წარმოდგენა?

პასუხი: არ დაგჭირდებათ. დანართი 9-ს წარმოდგენა საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირი უსასყიდლოდ გაძლევთ უფლებას გამოიყენოთ მისი ბაზა.